# სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი "დელტა"-ს გენერალური დირექტორის

# ბრძანება № 77

ქ. თბილისი „23" 03 2020 წ.

## საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელებასთან დაკავშირებული რისკების შეფასების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 25 დეკემბრის №139 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა"-ს დებულების" მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 20 მარტის №MOD 7 20 00000263 ბრძანების შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელებასთან დაკავშირებული რისკების შეფასების მიზნით, სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა"-ს (შემდგომში - ცენტრი) მოსამსახურეებს დაევალოთ:

ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (HTTP://COVID.MOD.GOV.GE/) განთავსებული ელექტრონული კითხვარის დაუყოვნებლივ შევსება და კითხვარისთვის მინიჭებული გენერირების კოდის შენახვა;

ბ) ახალი გარემოების გამოვლენის შემთხვევაში, ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული კითხვარის დაუყოვნებლივ დამატებით შევსება.

3. ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსებმა უზრუნველყონ დაქვემდებარებული თანამშრომლების გაფრთხილება აღნიშნული ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაუყოვნებლივ შესრულების შესახებ.

1. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

გენერალური დირექტორი ზურაბ აზარაშვილი